სპორტ ინფო

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

№ 59(6649) 24 მარტი 2022 წ. ხუთშაბათი ფასი 50 თეთრი

ნაკრები ბოსნიასთან მატჩისთვის მზადებას 22 ფეხბურთელით განაგრძობს

2 გვ.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ეშლი ბარტიმ კარიერა 25 წლის ასაკში დაასრულა

...სპორტის ამ მშვენიერ სახეობას ყველაფერი შევწირე და ამით ძალზე კმაყოფილი ვარ...

7 გვ.

5 გვ.

მამარდაშვილი ევროპის ტოპ-5 ლიგაში ახალგაზრდებს შორის თვის საუკეთესოდ დაასახელეს

სამეფო თასის ფინალში ვალენსიას კარში გიორგის ხილვა ფანების 73%-ს სურს, კანისარესი კი, მას სილესენზე წინ აყენებს

კვარაცხელია და დავითაშვილი დინამო ბათუმში ითამაშებენ

2 გვ.

იუვენტუსი სალაჰის შეძენით ინტერესდება



4 გვ.

ფრანგი ჟურნალისტი: ნეიმარი საცოდავ დღეშია და გალოთების ზღვარზეა



8 გვ.

ნაკრები ბოსნიასთან მატჩისთვის მზადებას 22 ფეხბურთელით განაგრძობს

საქართველოს ნაკრები საწვრთნელ პროცესს ს.კ. „სარაევოს“ ბაზაზე გადის. ვილი სანიოლის ხელმძღვანელობით ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ 22 ფეხბურთელის შემადგენლობით ივარჯიშა. გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს ლაშა დვალი.

ვაკო ყაზაიშვილი საქართველოს ნაკრებს სარაევოში უკვე შეუერთდა, თუმცა სამხრეთ კორეის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველი ლეგიონერი გუნდთან ერთად ვარჯიშს დღეს დაიწყებს.

ოთარ კაკაბაძე (საქართველოს ნაკრების წევრი): „ყველა ერთა ლიგისთვის ვემზადებით, ამხანაგური მატჩებისთვის გუნდები კარგად არის შერჩეული. დაახლოებით ისეთი დონის გუნდები არიან, რომლებსაც ჯგუფში უნდა დავუპირისპირდეთ. რთული თამაში გველოდება, რაც ბევრ რამეს დაგვანახებს“.

ნიკა კვეკვესკირი (საქართველოს ნაკრების წევრი): „ეს ორი ამხანაგური თამაში გენერალური რეპეტიციაა ერთა ლიგის დაწყებამდე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამწვრთნელო შტაბმა ფეხბურთელებში სწორი ბალანსი იპოვოს. განსაკუთრებით, ახალ ფეხბურთელებს შორის, რომლებსაც დებიუტი ექნებათ და რომლებიც დიდხნიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდნენ. მნიშვნელოვანია, რომ დადებითი მუხტი, რომელიც ზედიზედ სამ თამაშში გამარჯვებამ მოიტანა, ერთა ლიგის თამაშებამდე გაგვყვეს. ამისთვის აუცილებელია თამაშის კარგი ხარისხი და შედეგი“.

საქართველოს ნაკრები მატჩამდე ბოლო ვარჯიშს კვლავ ს.კ. „სარაევოს“ ბაზაზე გამართავს. საწვრთნელი პროცესის დაწყებამდე მთავარი მწვრთნელის პრესკონფერენცია ჩატარდება.

www.nakrebi.ge-ს მიხედვით.

ორივე ასაკობრივი ნაკრები დიდი ანგარიშით დამარცხდა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ხორვატიაში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში პირველი შეხვედრა რუმინეთთან დიდი ანგარიშით, 1:5 წააგო. მსაჯმა 44-ე წუთზე ჩხეტიანი გააძევა, მეორე დამატებულ წუთზე კი, სიხარულაშვილი. ჩვენი გუნდიდან გოლი აბუაშვილმა მე-40 წუთზე გაიტანა და ანგარიში 1:2 გახადა.

საქართველომ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ხარატიშვილი, ხვადაგიანი (80. კეკელიძე), დუნდუა, პირტახია, ო. მამაგეიშვილი, გვიშიანი, ჩხეტიანი, გეგუჩაძე (62. ცხოვრებაშვილი), აბუაშვილი (67. გოგნაძე), გ. მამაგეიშვილი (46. ბაგრატიონი), წულუკიძე (67. სიხარულაშვილი).**

მომდევნო მატჩს 19-წლამდელები 26 მარტს ისლანდიასთან გამართავენ, რომელმაც მასპინძელ ხორვატიასთან 1:2 წააგო.

გუშინვე, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა შოტლანდიაში მიმდინარე ევროს ელიტ-რაუნდის პირველი შეხვედრა გერმანიასთან დიდი ანგარიშით, 0:3 წააგო. ამავე ჯგუფში მასპინძელმა შოტლანდიამ ჩეხეთთან 2:2 ითამაშა. საქართველო მე-2 ტურში 26მარტს ჩეხეთს დაუპირისპირდება.

გიორგი ჩიტაურმა გერმანელების წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: **კოპალიანი, ნარიმანიძე, ხარჩილავა, ჩიხაძე, ტაბატაძე (78. ბასილაძე), ლოდრქიფანიძე, ციკოლია, ალიბეგაშვილი (78. გადილია), პარკაძე (89. ფარცვანია), სიგუა (84. ნინიძე), რობაქიძე.**

17-წლამდელებმა, მანამდე კი, 19-წლამდელებმა, მატჩის დაწყებამდე უკრაინას მხარდაჭერა გამოუხატეს

კვარაცხელია და დავითაშვილი დინამო ბათუმში ითამაშებენ

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები, ხვიჩა კვარაცხელია და ზურიკო დავითაშვილი კარიერას ქვეყნის ჩემპიონ „დინამო ბათუმის“ შემადგენლობაში გააგრძელებენ.

კლუბმა თავის „ფეისბუქის“ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც კვარაცხელიას კონტურია გამოსახული. „გამოიცანით, ვინ არის?“ - ასეთი კითხვა დაურთო „დინამო ბათუმმა“ კადრს.

ამრიგად, ხვიჩა ყაზანის „რუბინიდან“ და ზურიკო ტულის „არსენალიდან“ წამოსვლის შემდეგ, სეზონს საქართველოში ჩაამთავრებენ, შემდეგ კი, ახალ კლუბებს მოძებნიან. თუმცა, გამორიცხული არც „დინამო ბათუმში“ მათი უფრო დიდხანს დარჩენაა და ასეთ შემთხვევაში, გუნდს ისინი ევროტურნირებზეც დაეხმარებიან. ზაფხულში გია გეგუჩაძის გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

როგორც ცნობილია, ფიფამ და უეფამ ლეგიონერებს რუსული კლუბების დატოვების დედლაინად 7 აპრილი მოუნიშნა და კვარაცხელიამ და დავითაშვილმა ამით ისარგებლეს. თუმცა, კონტრაქტები 30 ივნისის შემდეგ კვლავ უნდა შევიდეს ძალაში, ცხადია, მანამდე თუ, ფეხბურთელებსა და კლუბებს შორის თანამშრომლობა ოფიციალურად არ გაწყდა.

როგორც იცით, საუბარი კვარაცხელიას მიმართ ნეაპოლის „ნაპოლის“ მხრიდან ინტერესზეცაა, მაგრამ რუსული გამოცემები წერდნენ, რომ იტალიურ და რუსულ კლუბებს შორის ჯენტლმენური შეთანხმება შედგა იმის თაობაზე, რომ ფიფასა და უეფას გადაწყვეტილების მიუხედავად, ისინი რუსული კლუბების ფეხბურთელებთან კონტრაქტებს არ გააფორმებენ. ასეა თუ ისე, ამ მხრივ ჯერ ყველაფერი ბუნდოვანია და ვნახოთ, რა მოხდება ზაფხულამდე. მანამდე კი, კვარაცხელია და დავითაშვილი ბათუმის „დინამოს“ ღირსებას დაიცავენ.

ხვიჩას „რუბინთან“ მოქმედი კონტრაქტი 2024 წლის ზაფხულამდე აკავშირებდა, დავითაშვილს „არსენალთან“ ხელშეკრულება - 2023 წლის ზაფხულამდე. 2021-2022 წლების სეზონში კვარაცხელიამ „რუბინის“ რიგებში რუსეთის პრემიერლიგაში ჩატარებულ 19 მატჩში 2 გოლი გაიტანა და 5 საგოლე პასი შეასრულა. ზურიკომ „არსენალის“ შემადგენლობაში ჩატარებულ 20 მატჩში 3 გოლი შეაგდო.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად, ორივე ნახევარმცველი საქართველოს ეროვნული ნაკრების განკარგულებაშია და ბოსნია-ჰერცოგოვინასთან ხვალ და ალბანეთთან 29 მარტს გასამართი ამხანაგური მატჩებისთვის ემზადება.

P.S. საინტერესოა, რომ „რუბინის“ პრეს-სამსახური ბათუმის „დინამოში“ ხვიჩას გადასვლას ამ დრომდე უარყოფს.

„კვარაცხელიას „რუბინთან“ კონტრაქტი არ შეუწერია. კლუბს არანაირი დოკუმენტაცია მიუღია“, _ აცხადებენ ყაზანელები.

ევროპის ჩემპიონატი

U-19 ელიტ-რაუნდი

I ჯგუფი

თურქეთი-შოტლანდია	1:2(0:0)
ისრაელი-უნგრეთი	0:0

II ჯგუფი

საფრანგეთი-შვედეთი	5:0(2:0)
ჩეხეთი-ბოსნია	0:1(0:0)

III ჯგუფი

პორტუგალია-სომხეთი	4:0(1:0)
ირლანდია-ინგლისი	1:3(1:2)

IV ჯგუფი

ხორვატია-ისლანდია	2:1(1:1)
რუმინეთი-საქართველო	5:1(3:1)

V ჯგუფი

იტალია-გერმანია	2:2(0:2)
ფინეთი-ბელგია	1:3(0:2)

VI ჯგუფი

ნიდერლანდები-სერბეთი	(გად)
ნორვეგია-უკრაინა	(გად.)

VII ჯგუფი

ესპანეთი-ავსტრია	2:2(2:0)

ევროპის ჩემპიონატი

U-17 ელიტ-რაუნდი

II ჯგუფი

შვეიცარია-ლატვია	1:0(0:0)
შვედეთი-დანია	2:2(0:2)

III ჯგუფი

შოტლანდია-ჩეხეთი	2:2(0:2)
გერმანია-საქართველო	3:0(1:0)

IV ჯგუფი

ესპანეთი-ბოსნია	4:1(1:0)
ბელგია-ესტონეთი	8:1(4:1)

V ჯგუფი

ლუქსემბურგი-საფრანგეთი	0:2(0:1)

VII ჯგუფი

სლოვენია-უელსი	5:0(2:0)
სერბეთი-თურქეთი	3:2(2:1)

VIII ჯგუფი

ბულგარეთი-ფინეთი	1:0(1:0)
პორტუგალია-ირლანდია	4:1(2:0)

აფრიკა

ერთა თასის კვალიფიკაცია

სეიშელი-ლესოტო	0:0
ჯიბუტი-სამხ.სუდანი	2:4(0:0)
სომალია-ესვატინი	0:3(0:1)
ჩადი-გამბია	0:1

არგენტინა

ლიგის თასი

ატლეტიკო ტუკ-ცენტ.კორდობა	0:1(0:1)
ტალერესი-გოდოი	2:1(1:1)

ავსტრალია

A ლიგა

მელბურნი ვიქ-ვესტერნ იუნ.	1:1(0:0)
ბრისბანი-მელბურნი სიტი	1:2(1:1)

კოლუმბია

აპერტურა

ონსე კალდასი-დეპორტოლიმა	2:2(0:2)
პატრიოტასი-ამერიკა დე კალი	2:1(1:1)
კორტულუა-ენვიგადო	1:1(0:1)

ამხანაგური მატჩები

ბელგია(18)-ჩეხეთი(18)	2:3
ლაოსი-მონღოლეთი	1:0(0:0)
იაპონია(21)-ხორვატია(23)	1:0(0:0)
ფილადელფია-მალაიზია	0:2(0:2)
საუდ.არაბეთი-უზბეკეთი(23)	2:0(2:0)
საამიროები(23)-ჩინეთი(23)	1:0(1:0)
ინდოეთი-ბაჰრეინი	1:2(0:1)
ტანზანია-ცენტ.აფრიკა	3:1(1:0)
ტაილანდი(23)-ყატარი(23)	0:1(0:1)
ვიეტნამი(23)-ერაყი(23)	0:0
გიბრალტარი-გრენადა	0:0
გვადალუპე-კაპე ვერდე	0:2(0:1)
ნიგერი-მოზამბიკი	1:1(0:0)

კალათბურთი

NBA

ორლანდო-გოლდენ სტეიტი	94:90
ნიუ იორკი-ატლანტა	111:117
მილუოკი-ჩიკაგო	126:98
(სანდრო მამუკელაშვილს არ უთამაშია)	
დენვერი-კლიპერსი	127:115

ევროლიგა

ჟალგირისი-ლიონი	68:72
ბასკონია-ფენერბაჰჩე	77:62
მონაკო-ოლიმპიაკოსი	92:72

სატურნირო მდგომარეობა:

ბარსელონა	25	20	5	2041:1857
რეალი	25	18	7	1933:1820
მილანო	24	16	8	1758:1686
ოლიმპიაკოსი	26	17	9	2055:1899
ეფესი	24	14	10	1992:1892
მონაკო	25	12	13	2070:2020
მაკაბი	23	12	11	1819:1823
ბაიერნი	23	12	11	1715:1714
ბასკონია	26	11	15	1952:2029
ცრ.ზვეზდა	24	11	13	1733:1760
ფენერბაჰჩე	23	9	14	1711:1722
ალბა	23	9	14	1743:1856
ლიონი	25	8	17	1803:1970
ჟალგირისი	26	7	19	1917:2065
პანათინაიკოსი	24	7	17	1779:1908
ზენიტი	0	0	0	0:0
ცსკა	0	0	0	0:0
უნიკსი	0	0	0	0:0

ევროთასი

ბურსასფორი-ვალენსია	92:89
პრომიტეასი-ვირტუს ბოლ.	61:83
ცედევიტა-ვენეცია	105:90
ლევალიოსი-ხუვენტუტი	86:78
გრან კანარია-ბუდუჩნოსტი	84:64

ჩემპიონთა ლიგა

გალათასარაი-ლუდვიგსბურგი	58:64
ჰაპოელი ჰოლ.-დიჟონი	90:83
სზომბატელი-რიტასი	86:81
ტენერიფე-სტრასბური	71:66

ესპანეთი

მურსია-ბრეოგანი	91:72

გერმანია

ბაიროითი-ოლდენბურგი	71:74
გიოტინგენი-ჰაიდელბერგი	70:82

პოკერი

NHL

კაროლინა-ტამპა ბეი	3:2
ნიუ ჯერსი-რეინჯერსი	7:4
პიტსბურგი-კოლამბუსი	5:1
ვაშინგტონი-სტ.ლუისი	2:5
დეტროიტი-ფილადელფია	6:3
აილენდერსი-ოტავა	3:0
ვინიპეგი-ვეგასი	4:0
დალასი-ედმონტონი	5:3
კალგარი-სან ხოსე	3:4
არიზონა-სიეტლი	2:4
ლოს ანჯელესი-ნეშვილი	6:1

ჩეხეთი

მლადა-მოუნტფილდი	3:2პენ.
ვიტკოვიცე-ტრინეცი	1:2

გერმანია

ბრემერჰავენი-ბიეტიგჰაიმი	1:2პენ.
ისერლონი-მანჰეიმი	6:3
კრეფელდი-ვოლფსბურგი	1:5
მიუნხენი-ნიურნბერგი	4:1
შტრაუბინგი-დიუსელდორფი	4:2

ჩოგბურთი

ATP-Miami (USA), hard

გრიკსპური-ფ.ჩერუნდოლო	5:7, 6:4, 3:6
კვონი-ნაკაშიმა	5:1,6, 5:7
ნავა-გასტონი	2:6, 1:6
ხ.მ.ჩერუნდოლო-ლაიოვიჩი	6:2, 7:5
სიმონი-დრაპერი	5:7, 1:6
მაკდონალდი-კეფერი	6:7, 6:4, 6:4
გალან რივეროსი-მილმანი	6:4, 6:2
ლააკსონენი-პაირე	7:6, 1:6, 6:4
კარბალესი-გოფინი	2:6, 3:6

WTA-Miami (USA), hard

პუტინცევა-შუნკი	4:6; 6:3; 6:1
გორგოძე-კალინინა	2:6, 6:3, 3:6
ბაპტისტა-ბეგუ	7:6, 1:6, 1:6
ეალა-ბრენგლე	2:6, 1:6
ფრუჰვირტოვა-კოვინიჩი	6:0, 6:4
ქსი.ვანგი-სასნოვიჩი	6:7, 4:6
ოსაკა-შარმა	6:3, 6:4
ბრონზეტი-ტომლიანოვიჩი	4:6, 7:6, 6:2
დოი-ზვონარევა	4:6, 1:6
მონტგომერი-კალინსკაია	6:4, 4:6, 6:7
მუჩოვა-მარტინცოვა	7:6, 7:6
ს.ჟანგი-ტაუსონი	6:4, 4:6, 2:1
(ტაუსონის ტრავმა)	
ბურელი-ფრეჩი	6:3, 7:5
გალფი-კუცოვა	6:0, 6:0
მარინო-სინიაკოვა	6:3, 2:6, 1:6
ტეიხმანი-რისკე	6:7, 3:6
ზიგმუნდი-ბუზკოვა	1:6, 2:6

შერმადინს ორმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა. შენგელიას ვირტუსმა იოლად იმარჯვა

გიორგი შერმადინის „ტენერიფემ“ ჩემპიონთა ლიგაზე „სტრასბური“ 71:66 დაამარცხა, ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა და მეოთხედფინალში ითამაშებს. ქართველ ცენტრს ორმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა. პარკეტზე გატარებულ 19:53 წუთში მან 10 ქულა, 8 მოხსნა და 1 დაფარება დააგროვა.

თორნიკე შენგელიას „ვირტუს ბოლონიამ“ კი, ევროთასის მატჩში სტუმრად ბერძნული „პრომიტეასი“ 83:61 გაანადგურა. ქართველმა კალათბურთელმა 14:29 წუთი ითამაშა და გუნდს 2 ქულა, 4 მოხსნა და 4 პასი შესძინა. „ვირტუსი“ ჯგუფში მე-4 ადგილზეა და მომდევნო მატჩს 29 მარტს „გრან კანარიასთან“ გამართავს.

რუსეთმა ევროპის 2028 და 2032 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე განაცხადი შეიტანა

იმ ყველაფრის ფონზე, რაც დღეს მსოფლიოში ხდება - რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული სასტიკი ომისა და ფიფა-უეფას მიერ რუსეთის ნაკრებისა და კლუბების მოკვეთის მიუხედავად, რუსეთმა უკიდურესად არაადეკვატური ნაბიჯი გადადგა და უეფაში ევრო-2028-სა და ევრო-2032 მასპინძლობაზე განაცხადი შეიტანა. გუშინ ეს ოფიციალურად დადასტურდა.

ამით, რუსეთის ფეხბურთის კავშირს სიტუაციას ისე წარმოაჩენს, თითქოს ზემოაღნიშნული ყველაფერი საერთოდ არ ხდება და თავს მასხრად იგდებს. თუმცა, მათგან გასაკვირი ნამდვილად აღარაფერია.

გორგოძე მაიამის ტურნირის პირველ წრეში დამარცხდა

ქართველმა ჩოგბურთელმა ეკატერინე გორგოძემ მაიამის ტურნირის ძირითად ბადეში ასპარეზობა პირველ წრეში დაასრულა.

მისი მეტოქე უკრაინელი ანჰელინა კალინინა იყო, რომელთანაც სამ სეტში 2:6, 6:3, 3:6 წაგო. შეხვედრა 2 საათსა და 15 წუთს გაგრძელდა.

მაიამის ტურნირზე გამოსვლის შედეგად, გორგოძე რეიტინგში 3 ადგილით დაწინაურდება და მსოფლიოს 120-ე ჩოგანი გახდება.

მაიამიში გორგოძე წყვილებში განაგრძობს თამაშს. მისი და გრეტი მინენის დუეტი დესირაე კრავჩიკსა და დერმი შურსს შეხვდება.

გავიმ და არაუხომ ბარსელონას მესამე წინადადება უარყვეს

ესპანური „მარკას“ ინფორმაციით, „ბარსელონას“ ფეხბურთელები, გავი და რონალდ არაუხო კლუბთან ახალი კონტრაქტების თაობაზე შეთანხმებას ვერ ახერხებენ.

ცნობის მიხედვით, „ბლაუგრანამ“ მათ ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტები შესთავაზა. ეს მესამე წინადადებაა, მაგრამ არაუხო და გავი უკმაყოფილო არიან პირობებით და ამიტომაც, ხელშეკრულებების გაგრძელებაზე უარს ამბობენ. მიმდინარე კონტრაქტები მათ 2023 წლის ზაფხულში უმთავრდებათ.

23 წლის არაუხო „ბარსელონაში“ 2018 წლის ზაფხულში გადავიდა. მიმდინარე სეზონში ურუგვაელმა ყველა ტურნირზე ჩატარებულ 33 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

17 წლის გავი „ბარსას“ აღზრდილია. მიმდინარე სეზონის 36 შეხვედრაში მან 2 გოლი გაიტანა და 1 ასისტი შეასრულა.

ბროზოვიჩმა ინტერთან 2026-წლამდე გააგრძელა

მილანის „ინტერის“ ნახევარმცველმა მარცელო ბროზოვიჩმა კლუბთან მოქმედი კონტრაქტი 2025 წლამდე გააგრძელა. ამის

შესახებ „ნერაძურიმ“ ოფიციალურად გამოაცხადა.

ახალი შეთანხმების მიხედვით, ფეხბურთელი ხელფასის სახით წელიწადში 6 მილიონ ევროს მიიღებს.

29 წლის ხორვატი „ინტერში“ 2016 წლიდან თამაშობს. მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე ჩატარებულ 37 მატჩში მან 1 გოლი გაიტანა.

იუვენტუსი სალაჰის შეძენით ინტერესდება

მერსისაიდული „ლივერპულის“ ფორვარდმა მოჰამედ სალაჰმა კარიერა შეიძლება იტალიის ჩემპიონატში განაგრძოს.

„ლა გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, 29 წლის ეგვიპტელის შეძენით „იუვენტუსი“ ინტერესდება. გამომდინარე იქიდან, რომ ზაფხულში ტურინულ კლუბს პაულო დიბალა დატოვებს, „იუვეს“ ამ პოზიციის გაძლიერება სურს. „ლა გაძეტა“ წერს, რომ „იუვენტუსმა“ სალაჰის შესაძლო ტრანსფერის თაობაზე ინფორმაცია უკვე მოითხოვა.

სალაჰი „ლივერპულში“ 2017 წელს „რომადან“ გადავიდა. მიმდინარე სეზონში ეგვიპტელმა ინგლისის ჩემპიონატში ჩატარებულ 27 მატჩში 20 გოლი გაიტანა და 10 საგოლე პასი შეასრულა. „წითლებთან“ მოქმედი კონტრაქტი მას 2023 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

გერმანიის ნაკრებს გნაბრი გამოაკლდა

მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა სერჟ გნაბრიმ გერმანიის ნაკრების ბაზა დატოვა.

ასეთი გადაწყვეტილება ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბმა გნაბრის შეუძლოდ ყოფნის გამო მიიღო. ფეხბურთელს

გაციების სიმპტომები აქვს. მან კორონავირუსზე ტესტი ჩააბარა, რომელიც უარყოფითი აღმოჩნდა. გნაბრის ნაცვლად, გერმანიის ნაკრების თავკაცმა ჰანს დიტერ ფლიკმა „დორტმუნდის“ ნახევარმცველი იულიან ბრანდტი გამოიძახა.

გერმანია 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს. 26 მარტს ფლიკის გუნდი ისრაელს შეხვდება, 3 დღის შემდეგ კი - ნიდერლანდებს. გერმანელებმა მსოფლიო 2022-ის ფინალური ეტაპის საგზური ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებით გაინაღდეს.

ტონი კროოსი: ბარსელონასთან მაჩი სწრაფად უნდა დავივიწყოთ, რეალი უუნაროთა კრებული იყო

მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველმა ტონი კროოსმა აღიარა, რომ ლა ლიგის 29-ე ტურში „ბარსელონასთან“ საშინაო „კლასიკოში“ 0:4 განადგურება მძიმედ გადაიტანა.

-ის საღამო სწრაფად უნდა დავივიწყოთ. ჩვენ უუნაროთა კრებული ვიყავით. მატჩის შემდეგ, ჩემთან ექიმი მოვიდა და მითხრა, რომ დოპინგ-კონტროლი უნდა გამევლო. პიკე და ხორდი ალბაც იქ იყვნენ. ჩვენ არ ვსაუბრობდით. მე და ვინისიუსი თავდახრილები ვიდექით, ძალიან გვიჭირდა. პირველი გაშვებული გოლის შემდეგ, ცალკარა მიდიოდა. ეს ძალზე საწყენია. ჩვენი შესაძლებლობები საერთოდ ვერ გამოვავლინეთ, _ განაცხადა კროოსმა.

რეალი ანჩელოტის ენდობა და ახალ მწვრთნელს არ ეძებს

„კადენა სერის“ ინფორმაციით, მადრიდის „რეალი“ კარლო ანჩელოტის ნდობას უცხადებს და ახალ მწვრთნელს არ ეძებს.

ესპანეთის ლა ლიგის გასულ ტურში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ბარსელონასთან“ 0:4 განადგურებისა და იტალიელი სპეციალისტის თავს დატეხილი კრიტიკის მიუხედავად, „სამეფო კლუბს“ სჯერა, რომ ანჩელოტი ბოლომდე ჩაამთავრებს კონტრაქტს.

კარლო „რეალში“ 2021 წლის ზაფხულში დაბრუნდა და ზინედინ ზიდანი შეცვალა. მას კლუბთან მოქმედი ხელშეკრულება 2023 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. ამ მომენტისთვის „რეალი“ ლა ლიგის ცხრილს ლიდერობს.

ტენ ჰაგმა მანჩესტერთან მოლაპარაკებები გამართა

ამსტერდამის „აიაქსის“ მთავარმა მწვრთნელმა ერიკ ტენ ჰაგმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები აწარმოა.

როგორც ჟურნალისტი ფაბრიციო რომანო იუწყება, ნიდერლანდელი „მანჩესტერის“ ბიუჯეტით და კლუბის სამომავლო გეგმებით დაინტერესდა. სპეციალისტის ინგლისურის დონე გაუმჯობესებულია. ტენ ჰაგმა იმედი გამოთქვა, რომ პრემიერლიგაში ძალებს მალე მოსინჯავს.

უახლოეს ხანში, „მანჩესტერი“ მოლაპარაკებებს სხვა მწვრთნელებთანაც გამართავს და გადაწყვეტილება შემდეგ იქნება მიღებული.

მამარდაშვილი ევროპის ტოპ-5 ლიგაში ახალგაზრდებს შორის თვის საუკეთესოდ დაასახელეს

სამეფო თასის ფინალში ვალენსიას ჯარში გიორგის ხილვა ფანების 73%-ს სურს, ჯანისარესი კი, მას სილესენზე წინ აყენებს

სტატისტიკისა და ანალიზის ავტორიტეტულმა ვებ-გვერდმა „სოფასქორმა" საქართველოს ნაკრებისა და ესპანური „ვალენსიას" მეკარე გიოგი მამარდაშვილი ევროპის ტოპ-5 ლიგაში თვის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელა.

როგორც პორტალის „ტვიტერი" წერს, 21 წლის კიპერმა ასეთი აღიარება მარტში 387-წუთიანი მშრალი სერიისთვის მიიღო.

_ გამომდინარე იქიდან, რომ მარტში საკლუბო მატჩები უკვე დასრულებულია, ევროპის ტოპ-5 ლიგაში 21-წლამდელთა თვის სიმბოლური ნაკრების დასახელების დროა. ჩვენი რჩეული თვის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი „ვალენსიას" მეკარე გიორგი მამარდაშვილია, _ წერს „სოფასქორი", რომელმაც სიმბოლურში ყველაზე მაღალი შეფასება, 7.80 ქულა ქართველ მეკარეს დაუწერა.

ტოპ-5 ლიგაში თვის საუკეთესო ახალგაზრდა სიმბოლური ნაკრები კი, ასე გამოიყურება:

მეკარე: გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი, 7,80 ქულა)

მცველები: ერიკ გარსია (ბარსელონა, ესპანეთი, 7,40 ქულა), პიერ კალულუ (მილანი, იტალია, 7,53 ქულა), მოჰამედ სიმაკანი (ლაიფციგი, გერმანია, 7,45 ქულა)

ნახევარმცველები: მელვინ ბარდი (ნიცა, საფრანგეთი, 7,27 ქულა), ჯამალ მუზიალა (ბაიერნი, გერმანია, 7,10 ქულა), ლუკას გურნა დუატი (სტ. ეტიენი, საფრანგეთი, 7,13 ქულა), მორტენ ფრენდრუპი (ჯენოა, იტალია, 7,40 ქულა)

თავდამსხმელები: ჯეიდონ სანჩო (მანჩესტერი, ინგლისი, 7,20 ქულა), ჟოაო პედრო (უოტფორდი, ინგლისი, 7,05 ქულა), ბუკაიო საკა (არსენალი, ინგლისი, 7,28 ქულა).

მამარდაშვილთან დაკავშირებით აქვე გეტყვით, რომ ესპანური levante-emv.com-ის ინფორმაციით, 23 აპრილს გასამართ ესპანეთის თასის ფინალში „ვალენსიას" კარში ქართველი მეკარის ხილვა გამოკითხული ფანების 73%-ს სურს:

_ გიორგი მამარდაშვილი „ვალენსიას" ძირითადი მეკარეა ამ მომენტისთვის და სამეფო თასის ფინალში მისი თამაში თითქმის გადაწყვეტილია, თუ გუნდის თავკაცი ხოსე ბორდალასი რაღაც მოულოდნელ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. მას ზურგს 387-წუთიანი მშრალი სტატისტიკა უმაგრებს. ქართველი მეკარე ფანებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს და გამოკითხვის შედეგები საოცარი იყო - 73%-ს ფინალში გუნდის კარში მამარდაშვილის ხილვა სურს. ხმების 20% იესპერ სილესენმა მიიღო, 7% - ხაუმე დომენეკმა...

_ ფაქტია, რომ სილესენი უფრო გამოცდილი მეკარეა, მას გუნდის ფეხბურთელებს შორის ყველაზე მეტი ფინალი აქვს ჩატარებული, მაგრამ მიმდინარე სპორტული შედეგები მამარდაშვილის სასარგებლოდ მეტყველებს. გიორგიმ თითქმის იმდენივე წუთი ითამაშა (1260), რამდენიც სილესენმა (1278), მაგრამ მამარდაშვილმა მხოლოდ 14 გოლი გაუშვა, სილესენმა კი - 26. ქართველმა მეკარემ 14 მატჩში კარი მშრალად 7-ჯერ შეინახა, სილესენმა კი, 14 შეხვედრაში მხოლოდ 3-ჯერ არ გაუშვა გოლი, _ ნათქვამია სტატიაში.

მამარდაშვილს კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი „ვალენსიას" ლეგენდარულმა მეკარემ სანტიაგო კანისარესმა. რადიო Efe-სთან საუბარში მან გიორგი სილესენზე წინ დააყენა.

_ ცხადია, მწვრთნელმა არჩევანი მეკარეების ფორმიდან გამომდინარე უნდა გააკეთოს. ერთი შეხედვით, გადაწყვეტილების მიღება ძალზე რთულია, რამდენადაც დაახლოებით ერთნაირი შესაძლებლობების კიპერებზე ვსაუბრობთ, მაგრამ საუბარი თუ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივებზეა, მე აქ მამარდაშვილს სილესენზე წინ დავაყენებდი. გიორგის ზრდის მეტი პოტენციალი აქვს და მომავალში შეუძლია გაცილებით ძვირ აქტივად ჩამოყალიბდეს, _ ამბობს კანისარესი.

დი კანიო: მესის მისამართით კრიტიკა სამართლიანია

წარსულში ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა პაოლო დი კანიომ პსჟ-ში ლიონელ მესის თამაში შეაფასა:

_ თქვენ არ შეგიძლიათ აკრიტიკოთ მესი იმისთვის, რაც „ბარსელონაში" გააკეთა, მაგრამ როდესაც მას საფრანგეთში სეზონში 2 გოლი აქვს გატანილი, სხვებზე მეტად უნდა აკრიტიკოთ. თქვენ არ ცხოვრობთ იმით, რაც წარსულში გააკეთეთ, არამედ დღევანდელობით, _ განაცხადა დი კანიომ.

დიბალას გარემოცვა პსჟ-ს შეფებს ესაუბრება

„ფუტ მერკატოს" ინფორმაციით, ტურინის „იუვენტუსის" ფორვარდი პაულო დიბალა ფრანგულ პსჟ-ში გადაბარგებითაა დაინტერესებული.

ცნობის თანახმად, არგენტინელმა ფეხბურთელმა მისი გარემოცვის დახმარებით, პარიზულ გუნდში არსებული სიტუაციის შესახებ ბევრი რამ შეიტყო. ერთადერთი, რაც დიბალას აფიქრებს, პსჟ-ს სპორტული დირექტორის პოსტზე ლეონარდოს შერყეული პოზიციაა. ბრაზილიელთან მას კარგი ურთიერთობა აკავშირებს. იმასაც ამბობენ, რომ 3 წლის წინ ლეონარდომ მომავალში პსჟ-ში გადასვლის თაობაზე დიბალასთან სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია.

ადრე ცნობილი გახდა, რომ „იუვენტუსმა" 28 წლის ფეხბურთელს ახალი კონტრაქტით სეზონში 6-7 მილიონი ევრო ხელფასი შესთავაზა, რამაც არგენტინელი გაანაწყენა. მიმდინარე კვირაში „იუვენტუსმა" გამოაცხადა, რომ დიბალა სეზონის ბოლოს კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დაემშვიდობება. მას ზაფხულში კონტრაქტი უმთავრდება.

მიმდინარე სეზონში დიბალამ ყველა ტურნირზე „იუვენტუსის" შემადგენლობაში ჩატარებულ 29 მატჩში 13 გოლი გაიტანა და 6 საგოლე პასი შეასრულა. პორტალი „ტრანსფერმარკტი" ამ მომენტისთვის, არგენტინელ ფეხბურთელს 40 მილიონ ევროდ აფასებს.

ბეილი, რომელმაც ბარსელონასთან ზურგის პრობლემების გამო ვერ ითამაშა, ნაკრებში შეზღუდვების გარეშე ვარჯიშობს

ესპანელი ჟურნალისტი: რეალი ბეილს ხელს აფარებს

მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი გარეთ ბეილი უელსის ეროვნული გუნდის განკარგულებაში შეზღუდვების გარეშე ვარჯიშობს. ეს მაშინ, როცა მან ლა ლიგის 29-ე ტურში „ბარსელონასთან“ „ელ კლასიკო“ (0:4) ზურგის არეში პრობლემების გამო გამოტოვა. ახლა, უელსელი მზადაა ნაკრებს მსოფლიო-2022-ის პლეი-ოფში დაეხმაროს. შეგახსენებთ, რომ დღეს, უელსი ნახევარფინალში ავსტრიას უმასპინძლებს.

_ მცირე დისკომფორტი ნორმალურია, ძალზე კარგ ფორმაში ვარ. მზად ვარ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ვითამაშო, _ განაცხადა ფეხბურთელმა.

როგორც ესპანელმა ჟურნალისტმა ანტონიო რომერომ განაცხადა, „რეალი“ ბეილის შესახებ სიმართლეს მალავს და ფეხბურთელს ხელს აფარებს:

_ ყველამ ვიცოდით, რომ მას ზურგი სტკიოდა, ის კი, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ არც კი მივიდა, რომ თანაგუნდელებისთვის მხარდაჭერა გამოეხატა. ანჩელოტი და „რეალი“ მას ხელს აფარებენ, მაგრამ ამის გაკეთება საჭირო არ არის. ვფიქრობ, ყველაფერი უნდა ითქვას და გავიგოთ, რაშია საქმე. არადა, იყო დრო, როდესაც გვეჩვენებოდა, რომ კრიშტიანო რონალდუს წასვლა არც ისე სერიოზულად აისახებოდა „რეალზე“, რადგან გუნდში ბეილი რჩებოდა, _ ამბობს რომერო.

32 წლის ბეილს „რეალთან“ მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება. მიმდინარე სეზონში მან ლა ლიგაში მხოლოდ 4 შეხვედრა ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

ლუკაკუმ თანაგუნდელებს აცნობა, რომ ჩელსიდან მიდის

ლონდონის „ჩელსის“ ფორვარდმა რომელუ ლუკაკუმ თანაგუნდელებს აცნობა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, კლუბს დატოვებს. როგორც ესპანური გამოცემა As-ი წერს, ბელგიელ ფეხბურთელს მილანის „ინტერში“ დაბრუნება სურს.

ადრე წერდნენ, რომ ლუკაკუ „ინტერში“ თამაშისთვის მზადაა, ხელფასის შემცირებას დათანხმდეს. პირველ ეტაპზე, გამორიცხული არც საიჯარო ვარიანტია.

28 წლის ლუკაკუმ მიმდინარე სეზონში „ჩელსის“ რიგებში ყველა ტურნირზე ჩატარებულ 34 მატჩში 12 გოლი გაიტანა. გასულ სეზონში იგი „ინტერთან“ ერთად იტალიის ჩემპიონი გახდა.

ზლატანი: ელანგა დიდი ტალანტია და ვამაყობთ, რომ შვედია

„მილანის“ ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შვედ ფორვარდ ენტონი ელანგას შესახებ ისაუბრა:

_ ელანგა დიდი ტალანტია. ვამაყობთ და ბედნიერები ვართ, რომ იგი შვედია. საუცხოოა, რომ საერთაშორისო არენაზე მას თავისი ქვეყნის წარმოდგენა შეუძლია. წინ დიდი მომავალი აქვს, თუ ასეთი სულისკვეთებით გააგრძელა. სრულყოფილებისკენ სწრაფვა იმას ნიშნავს, რომ არასდროს უნდა იყო კმაყოფილი საკუთარი თავით და მეტი იმუშავო. მხოლოდ თავად მასზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს საკუთარი პოტენციალის გახსნას, _ განაცხადა ზლატანმა.

ელანგა „მანჩესტერში“ 2021 წლიდან თამაშობს. მიმდინარე სეზონში 19 წლის ფეხბურთელმა პრემიერლიგის 12 მატჩში 2 გოლი გაიტანა.

პოლ პოგბა პსჟ-ში გადასვლას არ გამორიცხავს

...მანჩესტერში მაურინიოს ხელმძღვანელობით თამაშის დროს დეპრესია დამეწყო...

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა პოლ პოგბამ პსჟ-ში მისი შესაძლო გადასვლის თაობაზე გავრცელებულ ცნობებზე კომენტარი გააკეთა:

_ რატომაც არა? ყოველთვის სასიამოვნოა იმ კლუბში თამაში, რომელშიც ეროვნულ გუნდში შენი პარტნიორები ირიცხებიან. პირველ რიგში, ტიტულების მოგება მსურს და არ ვიცი, ამას „მანჩესტერთან“ ერთად გავაკეთებ, თუ სხვა გუნდში, _ განაცხადა პოგბამ.

ფრანგმა ფეხბურთელმა გაიხსენა, როგორ შეეჯახა დეპრესიას. ასევე, პოგბამ ახლახან მისი სახლის გაქურდვა გაიხსენა:

_ კარიერის გარკვეულ მომენტში დეპრესია მქონდა. ხანდახან, ვერ ხვდები, რა გემართება და უბრალოდ, სამყაროსგან იზოლირება გსურს, მარტოობა. ეს დეპრესიის უტყუარი ნიშნებია...

_ ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჟოზე მაურინიოს ხელმძღვანელობით ვთამაშობდი. ასეთ დროს, საკუთარ თავს შეკითხვებს უსვამ, თავს იდანაშაულებ. მანამდე მსგავსი არაფერი განმიცდია. ყველა პროფესიონალი სპორტსმენი გადის მსგავს მომენტებს, მაგრამ ამაზე თითქმის არავინ საუბრობს. შენ გრძნობ დეპრესიას სხეულში, თავში და ეს შეიძლება თვეები და წლები გაგრძელდეს. ამაზე საჯაროდ საუბარი არაა მიღებული. ჩვენ ხომ დიდ ფულს გამოვიმუშავებთ და წუწუნის უფლება არ გვაქვს, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ადამიანების მსგავსად სირთულეებს არ ვაწყდებით...

_ რაც შეეხება ჩემი სახლის გაქურდვას, უკვე ვთქვი, რომ ცხოვრებაში უმძიმესი დღე გადავიტანე. სახლში 3 ადამიანი მაშინ შეიჭრა, როდესაც ჩვენ შვილებს ეძინათ. მათ ჩემი სეიფი გაიტაცეს. იქ ჩემ ძვირფასეულობას ვინახავდი, მსოფლიოს ჩემპიონის მედალს...

_ ბავშვებთან ერთად ძიძაც იყო სახლში და მას ყველაფერი ესმოდა. ჩემ ცოლს დაურეკა და დაცვას, შემდეგ კი, ოთახში ბავშვებთან ერთად ჩაიკეტა. იგი რამდენიმე დღე შოკში იყო. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ბავშვები კარგად არიან, _ აღნიშნა პოგბამ.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ეშლი ბარტიმ კარიერა 25 წლის ასაკში დაასრულა

...სპორტის ამ მშვენიერ სახეობას ყველაფერი შევწირე და ამით ძალზე კმაყოფილი ვარ...

„დიდი მუზარადის“ ტურნირების 3-გზის გამარჯვებულმა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ავსტრალიელმა ეშლი ბარტიმ კარიერის დასრულების შესახებ 25 წლის ასაკში გამოაცხადა.

_ ჩოგბურთს ბავშვობიდან ვთამაშობ. ხანგრძლივი პაუზა 18 წლის ასაკში ავიღე, როდესაც უბრალოდ, მოზარდის ცხოვრებით ცხოვრება მსურდა, ნორმალური ცხოვრებით ტკბობა. ახლა, ჩოგბურთმა ყველა ოცნება ამისრულა და უფრო მეტიც. მიმაჩნია, რომ წასვლისთვის საუკეთესო მომენტია და სხვა მიზნებს უნდა დავუთმო ყურადღება...

_ ვიცი, რამდენი შრომაა საჭირო საუკეთესო შედეგის მისაღწევად. არაერთხელ ვუმეორებდი ამას ჩემ გუნდს, მაგრამ თამაშისთვის ძალები აღარ შემრჩა. სპორტის ამ მშვენიერ სახეობას ყველაფერი შევწირე და ამით ძალზე კმაყოფილი ვარ. ჩემთვის სწორედ ესაა წარმატება, _ განაცხადა ბარტიმ, რომელმაც 2019 წელს „როლან გაროსი“, 2021-ში უიმბლდონი და 2022-ში ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. რაც შეეხება ამერიკის ღია პირველობას, იქ ბარტის საუკეთესო შედეგი 2018 და 2019 წლებში მეოთხე წრეში გასვლაა.

საინტერესოა, რომ ბარტი გახდა ისტორიაში მხოლოდ მეორე ჩოგბურთელი ქალი, რომელმაც კარიერა პირველი ჩოგნის სტატუსში დაასრულა. პირველმა ეს ბელგიელმა ჟუსტინ ენენმა გააკეთა, რომელმაც კარიერის დასრულების შესახებ 2008 წელს გამოაცხადა პირველი ნომრის როლში. მოგვიანებით იგი მცირე ხნით დაბრუნდა.

მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელების რეიტინგს ბელინგემი ლიდერობს

ვებ-გვერდმა Goal.com-მა მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელების რეიტინგი გამოაქვეყნა. 50-ეულში ვერცერთი ქართველი მოხვდა, სიასკი, გერმანული „დორტმუნდის“ 18 წლის ინგლისელი ნახევარმცველი ჯუდ ბელინგემი ლიდერობს. რეიტინგში 2003 წელს და შემდეგ დაბადებული ფეხბურთელები გაითვალისწინეს.

ტოპ-ათეული ასე გამოიყურება:

1. ჯუდ ბელინგემი (დორტმუნდი), 2. ფლორიან ვირცი (ლევერკუზენი), 3. გავი (ბარსელონა), 4. ჯამალ მუზიალა (ბაიერნი), 5. ჰარვი ელიოტი (ლივერპული), 6. რაიან შერკი (ლიონი), 7. დევაინ რენსხი (აიაქსი), 8. იუსუფა მუკოკო (დორტმუნდი), 9. ბენიამინ შეშკო (ზალცბურგი), 10. რიკარდო პეპი (აუგსბურგი).

დიეგო სიმეონე ევროპის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელია

ფრანგულმა „ეკიპმა“ ევროპაში მწვრთნელთა ხელფასების რეიტინგი გამოაქვეყნა.

ევროპაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპეციალისტი მადრიდის „ატლეტიკოს“ მთავარი მწვრთნელი დიეგო სიმეონეა. არგენტინელი გადასახადების გამოკლებამდე, თვეში 3,3 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. ესპანეთის ჩემპიონატში მეორე პოზიციაზე „რეალის“ მესაჭე კარლო ანჩელოტია (900 ათასი ევრო თვეში), მესამეზე კი, „ბილბაოს“ თავკაცი მარსელინო გარსია ტორალი (500 ათასი).

ინგლისის პრემიერლიგაში ყველაზე მეტს „მანჩესტერ სიტის“ მთავარი მწვრთნელი პეპ გვარდიოლა გამოიმუშავებს (1,9 მილიონი ევრო თვეში). მეორე-მესამე ადგილებს „ლივერპულისა“ და „ტოტენჰემის“ თავკაცები, იურგენ კლოპი და ანტონიო კონტე ინაწილებენ (1,5-1,5 მილიონი ევრო).

რუნი და ვიეირა პრემიერლიგის დიდების დარბაზში

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ფორვარდი უეინ რუნი და „არსენალის“ ყოფილი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა პრემიერლიგის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

რუნი პრემიერლიგის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირთა შორის მეორე ადგილზეა. მან „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ევერტონის“ მაისურით 208 გოლი გაიტანა. „იუნაიტედთან“ ერთად უეინი 5-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი (2007, 2008, 2009, 2011, 2013).

ვიეირამ „არსენალთან“ ერთად ინგლისის ჩემპიონის ტიტული 3-ჯერ მოიგო. (1998, 2002, 2004). იგი იყო გუნდის კაპიტანი 2003-2004 წლების სეზონში, რომელიც „არსენალმა“ წაუგებლად დაასრულა.

ინგლისის პრემიერლიგის დიდების დარბაზში რუნი და ვიეირა ტიერი ანრის, ალან შირერს, ერიკ კანტონას, როი კინს, ფრენკ ლამპარდს, დენის ბერგკამპს, სტივენ ჯერარდსა და დევიდ ბექჰემს შეუერთდნენ.

სესარ ასპილიკუეტა: ბარსელონა? მოდით, ესპანეთზე ვისაუბროთ

ლონდონის „ჩელსის“ მცველმა სესარ ასპილიკუეტამ არ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეიძლება „ბარსელონაში“ გადავიდეს.

_ „ბარსელონა“? მოდით, ესპანეთის ნაკრებზე ვისაუბროთ. ახლა ჩემი მომავლის განსახილველად საუკეთესო დრო არ არის, _ აღნიშნა ასპილიკუეტამ.

ადრე წერდნენ, რომ 32 წლის ასპილიკუეტა „ბარსელონაში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადასვლასთან ახლოსაა.

მიმდინარე სეზონში ესპანელმა ფეხბურთელმა „ჩელსის“ შემადგენლობაში ყველა ტურნირზე ჩატარებულ 35 მატჩში 2 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი შეასრულა.

პსჟ რამოსთან განშორებას აპირებს

ფრანგული პსჟ მცველ სერხიო რამოსის შენარჩუნებას არ აპირებს. ამის შესახებ ჟურნალისტი ფაბრის ჰოკინსი იუწყება.

ცნობის თანახმად, პარიზელები ესპანელს საკუთარ გადაწყვეტილებას უახლოეს ხანში აცნობებენ. ამავე დროს, კლუბი სერხიოს შემცვლელს აქტიურად ეძებს.

35 წლის რამოსი პსჟ-ში გასულ ზაფხულს თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა და კლუბთან მოქმედი კონტრაქტი 2023 წლამდე აკავშირებს. ამ მომენტისთვის, პორტალი „ტრანსფერმარკტი" ფეხბურთელს 8 მილიონ ევროდ აფასებს.



პსჟ პოლანდს მბაპეს დარ ხელფასს და პროექტის მთავარი ფიგურის როლს შესთავაზებს

„კადენა სერის" ინფორმაციით, პსჟ „დორტმუნდის" ფორვარდ ერლინგ ჰოლანდისთვის ბრძოლაში ჩაერთვება.

ფრანგულ კლუბს სურს, რომ 21 წლის შემტევმა კილიან მბაპე შეცვალოს, რომელიც კარიერას მადრიდის „რეალში" გააგრძელებს.

„კადენა სერი" ჰოლანდის გარემოცვაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ პარიზელები ჰოლანდს იმავე ხელფასს შესთავაზებენ, რასაც მბაპეს ახალი კონტრაქტით სთავაზობდნენ. იგი კლუბის პროექტში მთავარი ფიგურა გახდება.

ამრიგად, პსჟ ჰოლანდისთვის „რეალთან", „მანჩესტერ სიტისა" და „ბარსელონასთან" იბრძოლებს.

მიმდინარე სეზონში 21 წლის ფორვარდმა „დორტმუნდის" შემადგენლობაში ჩატარებულ 23 მატჩში 23 გოლი გაიტანა და 5 საგოლე პასი შეასრულა.

ოლივიე ჟირუ: იტალიის ჩემპიონატის მოგებაზე ბავშვობიდან ოცნებობ, როდესაც მილანს და შევჩენკოს ვქომაგობდი

„მილანის" ფორვარდმა ოლივიე ჟირუმ მიმდინარე სეზონში იტალიის ჩემპიონატის მოგების შანსებზე ისაუბრა:

— „ინტერი" კვლავაც წარმოადგენს საფრთხეს, ისევე, როგორც „ნაპოლი" და „იუვენტუსი". გვესმის, რომ ტიტულის მოგება შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის მოკრძალებულები უნდა დავრჩეთ და ბოლომდე ვიშრომოთ. ბოლო თამაშები ფინალები იქნება და ჩვენ 200%-ით დავიხარჯებით, რათა დასახულ მიზნებს მივაღწიოთ...

— იტალიის ჩემპიონატის მოგება ჩემი ბავშვობის ოცნებაა. მაშინ „არსენალს" ვგულშემატკივრობდი, მაგრამ „მილანიც" ძალიან მიყვარდა. აქ ხომ ჩემი საყვარელი ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო თამაშობდა. მსურს მასსავით მოვიგო „სკუდეტო"...

— გუნდში გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების იდეალური ნაზავია. „მილანს" ადრე ისეთი ვარსკვლავები ჰყავდა, როგორებიც არიან ნესტა, რონალდინიო, პირლო, ზეედორფი, ინძაგი... მაგრამ ჩვენც გვყავს სახელოვანი ბიჭები და იმედისმომცემი ახალგაზრდობა, — განაცხადა ჟირუმ.

„გოლიათმა" „დავითი" დოპინგდან გადარჩა და დადებითი ბალანსი გაინაღდა

ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ ჰარუ ბაშოზე დადებითი ბალანსი გაინაღდა. მან ტურნირზე ზედიზედ მე-4 გამარჯვება მოიპოვა.

ტოჩინოშინის მეტოქე მე-16 მაეგაშირა ტერუცუოში იყო, რომელიც მასზე გაცილებით მსუბუქწონიანია და ეს ბრძოლა „დავითსა" და „გოლიათს" შორის დაპირისპირებად შეფასდა. ტანმორჩილობის მიუხედავად, ტერუცუოშიმ ტოჩის სერიოზული ბრძოლა გაუმართა. საბოლოო ჯამში, ლევანმა მეტოქეს ქამარში ხელები ჩაავლო და ცურიდაშის ილეთით, ატაცებული გადადგა დოჰიოდან.



საინტერესოა, რომ 27 წლის იაპონელთან ტოჩინოშინს აქამდე უარყოფითი ბალანსი ჰქონდა და ახლა ანგარიში 4:4 გახდა.

ამრიგად, ტოჩინოშინმა 2020 წლის ნოემბრის შემდეგ, საუკეთესო შედეგი აჩვენა. 11 ტურის შემდეგ, მას 8 მოგება და 3 მარცხი აქვს, რითაც ჩემპიონობის თეორიულ შანსს ინარჩუნებს. ახლა, ლევანი რეიტინგის გაუმჯობესებისთვის იბრძოლებს. დღეს მისი მეტოქე მე-9 მაეგაშირა ტობიზარუ იქნება, რომელსაც წინა 3 შეხვედრიდან მხოლოდ 1 მოუგო.

ფრანგი ჟურნალისტი: ნეიმარი საცოდავ დღეშია და გალოთების ზღვარზეა

ფრანგი ჟურნალისტი დანიელ რიოლო ამტკიცებს, რომ პსჟ-ს ფორვარდი ნეიმარი ძალზე მძიმე მდგომარეობაშია.

— ნეიმარი თითქმის აღარ



ვარჯიშობს. იგი საცოდავ დღეშია, გალოთების ზღვარზე. სწორედ ასეა. ნეიმარს პსჟ-ს წინააღმდეგ შურისძიების გრძნობა ამოძრავებს. იგი კლუბის ხელმძღვანელობასა და გასახდელთან სრულ წინააღმდეგობაშია, — ამბობს რიოლო.

მიმდინარე სეზონში ბრაზილიელმა საფრანგეთის ლიგა 1-ში ჩატარებულ 15 მატჩში 5 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი შეასრულა. ჩემპიონთა ლიგის 6 შეხვედრაში მან შედეგიანობით თავი ვერ გამოიჩინა.

ბაიერნმა 13 წლის ფეხბურთელი 300 ათას ევროდ იყიდა

მიუნხენის „ბაიერნმა" „გლადბახის" 13 წლის ფეხბურთელის, მაიკ უისდომის ტრანსფერი შეათანხმა.

„სქაი გერმანიას" ინფორმაციით, ახალგაზრდა ფეხბურთელი ბავარიელთა რიგებში ზაფხულში გადავა, გარიგება კი, 300 ათასი ევრო დაჯდა. „რეკორდმაისტერის" სასელექციო განყოფილება უისდომს წელიწადნახევარია აკვირდება და ბიჭმა „ბაიერნის" სპეციალისტებზე შთაბეჭდილება მოახდინა. ექსპერტები უისდომს საოცარ ტალანტად მიიჩნევენ. ამ მომენტისთვის, იგი „გლადბახის" 14-წლამდელთა გუნდში თამაშობს.

ISSN 2720-8079
9 772720 807009
ბაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ №53088
მის: ჩუბინაშვილის ქ. №50.
ელ. ფოსტა sport_info@mail.ru